



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მარგიევი სოსლან გიორგის ძე

მარგიევი სოსლან გიორგის ძე (1. I. 1914, სოფ. თლოი, ახლანდ. ჯავის მუნიციპალიტეტი). ოსი მსახიობი. საქართვე. დამს. არტისტი (1957). 1936 დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ცხინვალის ოსურ დასში მსახიობად. შეასრულა როლები: ილიკო (დ. ჯიოვის „ფუხათი“), დუდარსი (ს. ხაჩიროვის „დუდარსი და მისი ამხანაგი“), სარდონი (მ. შავლოხოვის „ბათირაზი“), ტიხონი, დუდუკინი (ა. ოსტროვსკის „ქარიშხალი“, „უდანაშაულო დამნაშავენი“), სანდალა (ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა“), მონტანო (უ. შექსპირის „ოტელო“), პანტალონე, ოტავიო (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“) და სხვ.

---